ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3142918

ნომერი: AR1485551

თარიღი : 12.03.2017

გაცემის თარიღი : 16.03.2017

გაცნობის თარიღი : 16.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფურცელაძე , N 26 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დომენტი ჯანაშია პ/ნ 01012028914
- თბილისი ვარკეთილის IV მ/რ III კვ. კორ. 1 ბ. 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ფურცელაძის ქ. N26-ში არსებული შენობის სარდაფში ჩასასვლელი კიბის რეკონსტრუქციის საკითხს.

გაცნობებთ, რომ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო არეალის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-37 დადგენილებით დადგინდა ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სარეაბილიტაციო არეალი. რეაბილიტაციის განმახორციელებელ სუბიექტად განისაზღვრა ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი".

ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"-ს მიერ 14.02.2017 წლის NAR1478543 განაცხადით მოთხოვნილი იქნა ქ. თბილისში, ფურცელაძის ქ. N26-ში არსებული შენობის რეკონსტრუქცია- რეაბილიტაციის ესკიზის წინასწარ შეთანხმება. განაცხდები და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N7, 16.02.2017წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ფურცელაძის ქ. N26-ში არსებული შენობის სარდაფში ჩასასვლელი კიბის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა მიმართოთ ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდს" და წარმოადგინოთ შესაბამისი პოზიცია და თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ კიბის რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილების ნორმები და წარმოდგენილი იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა კიბის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.